ოთხშაბათი, 7 თებერვალი 1907 წ.

წელიწადი პირველი — № 27

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელთღუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილების პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

**გრიგოლ და ნინო ხუნდაძეები და ივანე ცქვიტიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველი—შვილის, მეორე—ქმრის და მესამე—ცოლის ძმის

## ანდრია გრიგოლის ძის ხუნდაძისას.

პანაშვიდი საღამოს 6 საათზე, სასტუმრო „ბერლინში“. ოთხშაბათს, დილის 10 საათზე გამოასვენებენ ბინიდან და წაასვენებენ ს. ზემოხეთში (გურია), სადაც მოხდება დაკრძალვა. (1—527—1)

**გალაქტიონ ოქროპირის ძე გარეჩილაძე და ზაალ ადამის ძე ვარსიმოვი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პირველის მეუღლის, ხოლო მეორის შვილის

## ნინა გარეჩილაძის

სულის მოსახსენებლად ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება შაბათს, 10 თებერვალს, ფერისცვალების ეკლესიაში. (2—528—1)

### ძმათა ნიკიტინების ცირკი.



ოთხშაბათს, 7 თებერვალს, გაიმართება **საუცხოვო დიდი წარმოდგენა** ტფ. რეალურ სასწავლებლის სასარგებლოდ. დღეს მონაწილეობას მიიღებენ ახალი დასი, მთელ ქვეყანაზე ცნობილ ველოსიპედისტები **მმ. ეფიმოვები.** აგრეთვე ჰუნგრელი მხედარი ორანტო. მიმუსიკე ძ. ღლი. დასასრულ **დიდი პანტომიმა „მგზავრობა დედამიწის გარეშემო“.** კასსა გახსნილია დილის 11-დან 2-მდე და 5-დან წარმოდგენის გათავებამდე.

**ანონსი:** ბერლინიდან ამ ცოტა ხანში მოვა ცირკი შუმანისა.

**დასაწყისი 8½ საათზედ.** გამგე რ. ს. გამსახურდია.

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

**ტფილისში**

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

**მიხეილ აგაჯანოვი**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. გ. ავეტისოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. კიმონტი**: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**პ. ა. პეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.

**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი, ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—22)

ექიმი

### ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი

### ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—28)

ექიმი

### ა. ნ. დიასამიძე

**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

### მიხეილ ვედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—37)

**ქალ. სიღნაღში**

### ექიმი ა. ა. ბაღაშვილი

1 თებერვლიდან იწყებს ავათმყოფების მიღებას, ნ. მირინაშვილის სახლში, ფოსტის ქუჩაზედ. (24—509—9)

ექიმი

### ვ. ნ. მამაკიანი

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ბავშვებისას სპეციალური ექიმია **კუჭისა და ნაწლევებისა.** მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პროს., № 36, სახ. ქავჭანიძისა (25—24)

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

**განქის დიდი ქუჩა, № 5.**

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**ექ. ფ. ი. რუდენკო**— შინაგანი სნეულობანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.

**ექ. ფ. ვ. ჩუდნოვსკი**—ქირურგ. სნეულ. ორშაბ. და პარასკეობით 2—3 ს.

**ექ. მ. ი. იანჩევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და კვირაობით 2—3 ს.

**ექ. ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურ. და საშარდე. ორშაბ., ხუთშ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

**ექ. ნ. მ. ასპისოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

**ექ. ვ. გ. პოფოვსკი** — შინაგანი წამლობა მთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

**ექ. ა. ნ. თეთრაძე**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

**ექ. ა. ი. პავლოვსკი.** ქირ. 12—1 ს. ყოველ დღე. კვირაობით 4—5 ს.

**ექ. ა. ა. მონზე**—შინაგანი, ბავშვების, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

**ექ. ა. ფ. როზმაინსკი**—საბავშვო, ოთხშაბ., შაბათს 11—12, პარასკ. 1—2 ს.

**ექ. ნ. ი. ნეუიმინი**—თვალისა, ორშაბ., სამშაბათს, ოთშაბ., შაბათს 11—12 ს.

**ექ. ა. ა. ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ოთხშაბ. და კვირას 12—1, პარასკ. 1—2.

**ვ. ი. ნნაევ.**—შინაგანი 1—2 ს. სამშ., ოთხშ., შაბ., კვირ.; ქალებისათვის—ორშაბ., ხუთშაბ. 1—2 ს., პარასკ. 12—1 ს.

**ექ. ზ. ფ. ნევზოროვა** — კბილისა, ყოველ დღე 11—5.

**ექ. მ. ი. გოროდეცკა.** მასსაჟი 11—4 ს.

**ექ. კ. მ. პივარსკი** | კლინიკური ანალიზი.
**ექ. გ. ი. ჩუდნოვსკი** |

**ექ. გ. ი. ონობკო**—საექიმო გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—6 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—48)

## ვერის სამკურნალო

სპეციალისტ ექიმებისა.

ოლგას ქუჩა № 35.

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე.

**ექ. შახნაზაროვი**—ნერვებისა და საელექტრო, წამლობა და ჰიპნოზი. 9—10 ს.

**ექ. მელიქ-ეინათოვი**—ვენერიული, კანისა და საშარდე 9½—11 ს.

**ექ. რამენდიკი**—შინაგანი 10½—11½ ს.

**ექ. ზაკრჟევსკი**—ქალისა და საბებიო 11—12 საათამდე.

**ექ. ქალანთაროვი**—თვალისა 1—2 ს.

**ექ. გიკოსანიძე**—ქირურგიული 12—1 ს.

**ექ. მარცინკევიჩი**—ბავშვისა 12—1 ს.

**ექ. შტრეიხერი**—ყელისა, ყურისა და ცხვირისა 1—2 ს.

**ექ. გამბურგერი**—ქიმ. მიკრ. და ბაქტ. გამოკვლევა შარდისა, სისხლისა, ნახველისა და სხვ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაცია მოლაპარაკებით.

**სამკურნალოში შეიძლება მასსაჟი.** (100—90)

### ლაქტო-ბაცილიანი რძე

მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ

## ა. ს. კლემანსკის

ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში

კორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 389 (100—51—66)

**ვამზადებ** ყმაწვილებს **პირველ დაწყებით სასწავლებლებისათვის.** მსურველთ ვთხოვ მიჰმართონ ამ ადრესით: პარალელნი ქუჩა, სახლი ვლადიმირ პეტრ. გარციევისა (4—3)

**21** იანვრისა და შემდეგ 25 თებერვლისათვის გადადებული **სახალხო წარმოდგენა** ავლაბრის თეატრში **არ მოხდება.** ვინც ბილეთი იყიდა, შეუძლია დაიბრუნოს ფული 7 და 8 თებერვალს, ნაშუადღევის 4-დან 5 საათამდის. (2—უ.—2)

### ქართული წარმოდგენა

სახაზინო თეატრში

ხუთშაბათს, 8 თებერვალს, 1907 წ.

ბენეფისი ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

## დედაკაცს ბრალია

კომ. 3 მოქ. თხზ. ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა.

### დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

### სახაზინო თეატრი

ანტრეპრიზა რიზა ნორდმტრემისა

**ოთხშაბათს, 7 თებერვალს 1907 წელს.**

პირველი გასტროლი გამოჩენილ იტალიელ მომღერალის, ტენორის **ელვინო ვენტურასი** შესრულებული იქნება

## რიგოლეტო

ოპერა 4 მოქმედებად ვერდისა.

რეჟისორი **ბ. დუნაევსკი.**

დასაწყისი 8 საათზედ.

ხუთშაბათს წარმოდგენა არ შესდგება.

გამგე ოპერისა **ვ. ლ. ურუშაძე.**

## გამგეობა

**ტფილისის მოსამსახურეთა ურთიერთ-დამხმარე საზოგადოებისა** აცნობებს, რომ:

1) საზოგადოების კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდე და 5-დან 8-დე საღამოსი;

2) იწვევს ყველა ამხანაგებს გამოცხადდნენ კანტორაში და ჩაეწერონ საზოგადოების წევრებად;

3) ერთდროული საწევრო შესატანი ერთი (1) მანეთი და ყოველთვიური 2½% ჯამაგირიდან;

4) კანტორა იმყოფება სასახლის ქუჩაზე, სათავად აზნაურო ქარვასლაში. (7—523—3)

## მიიღეთ ფული

ლვიდენლის დარიგების გასაადვილებლად სენაკის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის „შუამავლის“ გამგეობა თხოვს წევრთ მოგვაწვდინონ **ადრესები** 15 თებერვლამდე. (3—ნ.—1)

**ტფილისის სათავად აზნაურო გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო** აცხადებს, რომ **მოსამზადებელ კლასის უფროსს განყოფილებაში განთავისუფლდა** რამდენიმე ადგილი. ამ განყოფილებაში მისაღები ეგზამენები იქნება ხუთშაბათს, 8 თებერვალს, დილის 12 საათზე

თხოვნების მიღება ყმაწვილების მიღებაზე მოსპობილია. ეგზამენს დაიჭერენ მხოლოდ ისინი, ვისაც დღევანდლამდე შემოტანილი აქვს თხოვნა. (3—ნ.—2)

**მარტყოფის წმ. ანტონის მონასტრის დუქანი** ოთახებით იძლევა ქირით. მსურველთ შეუძლიანთ ამ თავითვე პირობები გასინჯონ საქართველოს ეგზარხოსის სასახლეში, ეკონომთან. (3—1)

ტფილისი, 7 თებერვალი.

როგორც რამდენისამე დღის წინად ვწერდით, მომავალი სახელმწიფო სათათბირო თავის შედგენილობით ოპოზიციონური იქნება, მაგრამ ოპოზიციას სხვა და სხვა სახე შეუძლიან მიიღოს. შესაძლოა წარმოვიდგინოთ ისეთი მკრთალი, გაუბედავი ოპოზიცია, რომელიც ვერავითარს ცხოვრების შემამსუბუქებელ გავლენას ვერ მოახდენს მართვა-გამგეობაზე და პირიქით, შესაძლოა წარმოვიდგინოთ ისეთი მტკიცე და შეურიგებელი ხასიათის ოპოზიცია, რომელმაც ან სრულის გამარჯვებით უნდა დააგვირგვინოს პირველ სათათბიროსაგან დაწყებული საქმე და ან იმისავით ხელ-ახლა დათხოვნილ იქმნას განკარგულებით.

ეხლანდელი არჩევნები და ამ არჩევნებით გამოწვეული მითქმა-მოთქმა რომ შევადაროთ პირველ სათათბიროს წევრთა არჩევნებს, უეჭველად შევნიშნავთ, რომ დღეს საერთოთ ოპოზიციონური განწყობილება ისე შეურიგებელი არ არის, როგორც პირველ არჩევნების დროს იყო. მაშინ ოპოზიციონური სიმკაცრე იმ ზომამდე განვითარებული იყო, რომ უმეტესი ნაწილი სოციალისტურ პარტიებისა ბოიკოტის ტაქტიკას აღიარებდნენ და თვით კადეტების პარტიის ზოგიერთი წევრიც კი ძალიან ყოყმანობდა არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე; ეხლანდელმა არჩევნებმა კი ისე გაიარეს, რომ პოლონელთა სოციალისტურ პარტიის გარდა სხვას არავის აღარ ჰქონია განზრახვა ბოიკოტის განხორციელებისა. პირველ არჩევნების დროს ლეგალურ ოპოზიციის მეტრფიალე პარტიები და მათ შორის ყოვლის უწინარეს კონსტ.-დემოკრატების პარტია მთელ თავის ენერგიას იმაზე ჰხარჯავდა, რომ განესაზღვრა ერთი მეორისაგან პარლამენტის ორგანიული მუშაობა რადგან სხვა ალბად პარლამენტის არა ორგანიულ მოქმედებისაგან, ჰგმობდა პირველს და მხარს აძლევდა მხოლოდ ამ უკანასკნელს. ეხლა ამ ორგანიულ და არა ორგანიულ მუშაობაზე ჩამი-ჩუმიც აღარ ისმის კადეტების წრეებში, ამ საგანზე ეხლა კანტი-კუნტად მხოლოდ უკიდურესი მემარცხენი თუ-და ლაპარაკობენ.

ეს თვალსაჩინო ცვლილება, რომლის უარყოფაც ჩვენის ფიქრით ყოვლად შეუძლებელია, სრულიად იმას არა ნიშნავს, რომ ოპოზიციის შინაარსი შეცვლილიყოს. არც ერთს პარტიას თავისი პროგრამმა არ შეუცვლია, არც ერთ პარტიას თავისი ტაქტიკის გამგე პრინციპები არ უარ-უყვია. პრინციპების ე. ი. თეორიის და შინაარსის მხრივ ეხლანდელი ოპოზიცია იგივეა, რაც პირველ არჩევნების დროს იყო; მაგრამ თვალსაჩინოდ შეიცვალა ფორმა ამ პრინციპების განხორციელებისა. როდესაც სათათბიროს დათხოვნის შემდეგ ყოფილი დეპუტატები ვიბორგის მანიფესტზე აწერდნენ ხელს, უეჭველია მათ სწამდათ, რომ რუსეთის ხალხს ისეთი და იმდენი მჭიდრო საოპოზიციო ორგანიზაციები აქვს, რომელნიც შესძლებენ არც ჯარის კაცები მისცენ მთავრობას და არც გადასახადები შეიტანონ ხაზინაში. ეხლა ასეთი იმედი არავის აღარ შერჩა, ულმობელმა ფაქტებმა დაანახვა ოპოზიციას, რომ რუსეთის ხალხი არც ისე დარაზმულია, როგორც ეს აუცილებლად საჭიროა პირდაპირის ბრძოლით გამარჯვებისათვის. ოპოზიციის კილო სწორედ იმიტომაა ეხლა რამდენადმე შესუსტებული, რომ წინანდელს ილიუზიებს ადგილი აღარა აქვთ. მაგრამ ამისდა მიუხედავად, არავის, ჩვენის ფიქრით, თვით ეხლანდელ სამინისტროსაც კი არა აქვს დაკარგული იმედი, რომ თუ მთავრობამ პირდაპირ უარ-ჰყო ძირითადი რეფორმები და ძველი რეჟიმის აღდგენა განიზრახა, ხელ-ახლა გაძლიერდება ის საყოველთაო ძალთა შეერთება და საყოველთაო გაფიცვა, რომელმაც 17 ოქტომბერს თავზარი დასცა რუსეთის ბიუროკრატიას და რეფორმების აღთქმა დაადებინა.

ასეთს პირობებში მომავალი სახელმწიფო სათათბირო სწორედ ის დაწესებულებაა, რომელმაც ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ ოპოზიციის შინაარსი იგივეა, რაც წინად იყო, მაგრამ თუ მთავრობამ წინანდელივით უარ-ჰყო ხალხის დამაკმაყოფილებელ რეფორმების გატარება, ამ შემთხვევაში მხოლოდ ისეთს დროს უნდა მისცეს მთავრობამ საბუთი პირდაპირის და გადაჭრილის კონფლიქტის გამოსაწვევად, როცა რეალურად განსახორციელებელი შეიქნება ყველა საოპოზიციო მალთა შეერთება და საყოველთაო დემონსტრაცია ხალხის მისწრაფებათა.

არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

### ჩვენში

**დეპუტატის არჩევა ტფილისიდან.** გუშინ, 6 თებერვალს, ტფ. ქალაქის საბჭოს დარბაზში დღით 12 საათზე თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა არჩევანი ტფილისელ დეპუტატისა. კრებაზე გამოცხადდა 78 ამომრჩეველი, აქედან 53 სოც.-დემოკრატი და 25 დაშნაკცაკანი. ს.-დ. ამომრჩევლებმა მოსთხოვეს თავმჯდომარეს შუამდგომლობა, განთავისუფლებინათ ვერის უბნის ამომრჩეველი კალანდაძე, რომელიც ამას წინად დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს. დაშნაკცაკანებმა და ამომრჩეველმა შაუმიანცმა განაცხადეს, ჩვენ არ ვუერთდებით დანარჩენი ამომრჩევლების მოთხოვნილებას კალანდაძის განთავისუფლების შესახებაო. ამომრჩეველთა მოთხოვნილების შესასრულებლად ქალაქის თავმა მცირე ხნით შესწყვიტა კრება. 20 წამის შემდეგ სხდომა ისევ განახლდა. თავმჯდომარემ აცნობა კრებას ადმინისტრაციის პასუხი, რომ კალანდაძე პასუხის გებაშია მიცემული და ვერ გავანთავისუფლებთო.

შემდეგ წინადადება მისცა ამომრჩევლებს კანდიდატები დაესახელებინათ. ბარათებით 48 კაცმა დაასახელა არშაკ გ. ზორაბიანცი, ერთმა შაუმიანცი, ერთმა ხავარიანი და 24-მა (დაშნაკცაკანმა) ცარიელი ბარათები წარადგინა. კენჭის ყრაზე უარი განაცხადეს დასახელებულმა კანდიდატებმა გარდა არშაკ ზორაბიანცისა, რომელმაც დაიდგა ყუთი. ზორაბიანცს ამოუვიდა 52 თეთრი და 25 შავი კენჭი. ზორაბიანცს მიეგებნენ ზოგიტაშის ცემით და ზოგნი სტვენით. ქალაქის თავმა მიულოცა ზორაბიანცს.

ოფიციალურად სხდომა შესწყდა და ამომრჩევლებმა კერძო კრება გამართეს. ერთმა ამომრჩეველმა სოც.-დემოკრატების სახელით წაიკითხა დეპუტატისადმი მისართმევი მანდატი, რომლის საპასუხოდ. ზორაბიანცმა წარმოსთქვა სიტყვა: დეპუტატობა წლეულს მე მხვდა წილად და ამით სრული გამარჯვება მოიპოვა პროლეტარიატმა. პროლეტარიატის გამარჯვებას წელს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შარშან ჰქონდა, რადგან წლევანდელი არჩევნები განსაკუთრებულს პირობებში მოხდა. ერთის მხრით სტოლიპინმა ისე შეხუთა არჩევნები, რომ მუშებს მარტო მუშათა კურიებში მიეცათ უფლება თავიანთ წარმომადგენლის არჩევისა და საეჭვო გახდა, ტფილისის წვრილ ბურჟუაზიას ვისთვის უნდა გამოეცხადებინა ნდობა. ეს ეჭვი მით უფრო გაძლიერდა, რომ საარჩევნო ასპარეზზე გამოვიდნენ სხვა პარტიები და მათ შორის „დაშნაკცუთიუნი“. ტფილისის წვრილმა ბურჟუაზიამ ნდობა გამოუცხადა ს.-დემოკრატიას და უარი განუცხადა „დაშნაკციუტიუნს“, როგორც ცრუ-დემოკრატებსაო.

ამ სიტყვაზე დაშნაკელებმა ხმაურობა და სტვენა ასტეხეს. ზოგი უყვიროდა სოც.-დემოკრატებს, თქვენ სოლოლაკელების წარმომადგენელნი ხართო და სხვა. ყურთა-სმენა აღარ იყო. დეპუტატმა რამდენჯერმე მოინდომა სიტყვის განგრძობა, მაგრამ ველარ მოახერხა. ბოლოს დარბაზში შევიდა ქალაქის თავი, რომელმაც შეაწყვეტინა კრება და ხალხი დარბაზიდან დაითხოვა. დარბაზის ფოიეში უკვე ავიდნენ შეიარაღებული პოლიციელები და ყაზახები. ხალხი დაიშალა. არჩევნების დროს გამგეობას ჯარი ერტყა.

---

**დეპუტატების არჩევნები ტფ. გუბერნიიდან.** ტფილ. თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოში გუშინ, 6 იანვარს მოხდა კრება გუბერნიის ამომრჩევლებისა სახელმწიფო სათათბიროს სამის დეპუტატის ასარჩევად. გამოცხადდა სულ 46 ამომრჩეველი, დააკლდა სამი. კანდიდატებად დაასახელეს სამი კაცი სოციალ-დემოკრატი: არჩილ ჯაფარიძე, სღვერიან ჯუღელი და სოფელ ახალქალაქის მცხოვრები ნიკოლოზ კაციაშვილი. 36 ხმით წინააღმდეგ 10-სა არჩეულ იქმნენ დასახელებული დეპუტატები.

### რუსეთში

(დეპეშათა სააგენტოსაგან)

**მოსკოვი.** ამრჩეველთა კრებაზე გადაწყვიტეს მოსკოვიდან დეპუტატად მუშათა წარმომადგენელი არ გაჰგზავნონ.

**პეტერბურგი.** მაქსიმე კოვალევსკიმ სენატში საჩივარი შეიტანა იმის გამო, რომ იგი საარჩევნო სიიდან გამორიცხეს.

5 თებერვალს სენატმა განიხილა პროტესტი გრადონაჩალნიკისა მლ. გრ. პეტ-

როვის საარჩევნო სიაში შეტანის და პროფ. მაქ. კოვალევსკის საჩივარი სიიდან გამორიცხვის შესახებ. დაადგინა გრადონაჩალნიკის პროტესტიც და კოვალევსკის საჩივარიც უყურადღებოდ იქმნას დატოვებულიო...

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ №-ში პაწია წერილში: „პროტესტი სოც.-დემ. კონფერენციის 7 წევრისა“ შეცდომით დასტამბული იყო: „კონფერენციაზე დასახელებული დეპუტატი მთელი სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციის კანდიდატია, **და არა მხოლოთ მეუმცირესთა ფრაქციის კანდიდატი**“. უნდა იყოს: «ამასთანავე ვაცხადებთ, რომ კონფერენციაზე დასახელებული დეპუტატი **არ არის** მთელი ს.-დემ. ორგანიზაციის კანდიდატი, **ის მხოლოთ მეუმცირესთა ფრაქციის კანდიდატია**“.

## ახალი ამბავი

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო საოლქო სამართალში მისცეს თელავის მაზრის სოფ. ვანთის მცხოვრებნი დავით ლევანის ძე შერვაშიძე. ჰბრალდება ნიკოლოოზ ბაზიერაშვილისს ახლის გადაწვა. ჩრდილოეთის გუბერნიებში იგზავნებიან: ვოლოგოდსკისაში სამის წლით—ბორჩალოში შეპყრობილი სერგეი ჩოფუროვი, გრ. მნაცაკანოვი, მ. ასრიევი, პ. აჩიკოვი, მიკ. დავიდოვი, აკოფ აივაზოვი და გ. ხეჩოევი—ჰბრალდებათ ძარცვა-გლეჯა; ვიატსკისაში სამის წლით—არ. ნაგიბოვი, კ. ტატევოსოვი, არ. გრიგორიანცი, ავ. არზუმანოვი და ის. არაკელიანცი—უნახეს რევოლვერები და სხვა იარაღი. ტფ. საგენ. გუბერნატოროდან ეტაპით იგზავნებიან: ცხინვალელი სტეფ. გრიქუროვი, იმ. კადაც-ოღლი, ალ. კიაზამოღლი, ლეჩხუმელი პართენ ჯანაძე, ივანე გოქაძე, ჰუსეინ-ოღლი და პოლ. ალექსანოვი. სილ. კეკელიძეს ნება მიეცა გაალოს უგესტორანოდ თავისი სასტუმრო „მარსელი“. ხუთ-ხუთი თუმნით დააჯარიმეს სახლის პატრონნი: დმიტრიევი, ტერ-აკოფოვი, ჰასან-ალი, სარაჯიშვილი, მუხრანსკის სახლის მოურავი თედ. კეკელიძე; 25 მანეთით—კროლეკოვსკი.

✦ **ბრძანება.** ტფ. გენ.-გუბერნატორმა უბრძანა პოლიცმეისტერს, ორ დღეში წარუდგინოს სია იმ ვაჭრებისა, რომელთაც პირველ თებერვლისათვის პატენტები არ აიღეს.

✦ **ელექტრონის გზა კავკასიონის მთაზე.** როგორც ვწერდით, გრაფმა ბორხმა, ინჟ. კუჩინსკიმ და ბერგილემმა განიზრახეს ელექტრონის რკინის გზის გაყვანა სამხედრო-საქართველოს გზაზე ტფილისიდან ბესლანამდე. ეხლა ამათ უთხოვნიათ ნამესტნიკისათვის, ნება მიეცით კვლევა-ძიებას შეუდგნენ და აგრეთვე შუამდგომლობა იქმნას აღძრული, რომ გადაეცეთ მათ ამ გზის კონცესია. ამ საქმის განსახილველად ნამესტნიკს შეუდგენია განსაკუთრებული კომისია. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი შატილოვი.

✦ **ფულის გატაცება და მკვლელობა.** ბალახანაში, სააგენტოს დეპეშის სიტყვით, როდესაც „ტფილისის ამხანაგობის საზოგადოების“ მუშებს ხელფასს ურიგებდნენ, ვილაცეებმა 2500 მანეთი გაიტაცეს. უცნობებს გამოუდგნენ, ერთი მოჰკლეს, მეორე მძიმედ დასჭრეს, მესამე-კი მიიმალა. სროლის დროს დაიჭრა პოლიციელი. ბაქოში მოჰკლეს ძვირფასეულობით მოვაჭრე ჩანგალაროვი. ამ დღეებში წერილი მოსვლია სოც.-დემ. მებრძოლი რაზმის სახელით, სთხოვენ ფულს.

✦ **ცეცხლი ბათუმში.** ბათუმში 5 თებერვალს, დილის ესე რვა საათი იქნებოდა, ცეცხლი გაუჩნდა მანთაშოვის ნავთის ყუთების საკეთებელ ქარხანას. მალე ცეცხლი ნავთის საწყობებზედაც გადავიდა. საშინელი ალი და ბოლი იდგა ბათუმის თავზე. მქრობელებმა ძალზე გაძლიერებული ცეცხლი, რა თქმა უნდა, ვერ ჩააქრეს, მხოლოდ იმასა სცდილობდნენ, სხვა საწყობებზე არ გადაეშოთ. იქვე ნავთის უზარ-მაზარი აუზია და ცეცხლი იქ ლამობდა გადასვლას, მაგრამ იმდენი მოახერხეს, რომ არ გადაუშვეს. ქონება დაზღვეული ყოფილა ოთხ საზოგადოებაში. როგორც საგენტოს დღევანდელი დეპეშა გადმოგვცემს, ეჭვი აქვთ თურმე, რომ ცეცხლი განგებ არის წაკიდებული.

✦ **ხმოსანთა საარჩევნო სიები.** 5 იანვარს ტფ. ქალაქის საბჭომ განიხილა ხმოსან ვართანიანცის მოხსენება, არჩეულ იქმნას განსაკუთრებული კომისია, რომელსაც უნდა მიანდოს ტფ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა საარჩევნო სიების შემოწმება. საბჭომ აირჩია კომისიაში: ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი, მელიქ-ბეგლიაროვი, თამამშევი, ღულაძე, ფეთელოვი, ლ. ტიგრანოვი, სვემნიკოვი, მირზოევი და ჭრელაშვილი.

✦ **საავადმყოფო.** ბევრჯელ აღგვინიშნავს, რომ სოფლებიდან დიდ ძალი ავადმყოფი ჩამოდის ტფილისში, მაგრამ ადგილობის გამო მიხეილის სამკურნალოში ვერ იღებენო. მას შემდეგ უფრო გაჭირდა საქმე, რაც ტფ. ქალაქის გამგეობამ ამ ორი თვის წინად უფულობის გამო დახურა საქირურგიო საავადმყოფო. ამ ჟამად მიხეილის საავადმყოფოში თითქმის სულ ტფილისის მცხოვრებნი არიან, სოფლელები კი, რომელთა ფულებითაც საავადმყოფო ინახება, უადგილოდ რჩებიან. დღეში საავადმყოფო 40 კაცს ეუბნება უარს.

✦ **საქველმოქმედო საღამო.** ხვალ, 8 თებერვალს, საარტისტო საზოგადოების სადგომში გაიმართება საღამო ფრიად საინტერესო პროგრამით: იქნება ჯერ საკონცერტო განყოფილება, რომელშიაც სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებს ცნობილი არტისტი მომღერალი ქ. ვან-ბრანდტისა; შემდეგ კარგი სინემატოგრაფი „ილლუზიონ“-ის თეატრისა და ბუნდოვანი სურათი—კარიკატურები „ჟამთა სიავეზე“ ცნობილის ო. ი. შმერლინგისა; დასასრულ—საცეკვაო საღამო. შემოსავალი გადაიდება ტფილისის მომავალ პოლიტეხნიკუმის ფონდის გასაძლიერებლად. ეს გარემოება და აგრეთვე თვით საღამოს საინტერესო შინაარსი, იმედია, დიდ საზოგადოებას შეჰკრებს ხვალინდელ ბალზე.

✦ როგორც დუშეთის მაზრიდან გვატყობინებენ, სოფელ ოძისში გამრავლებულან ქურდ-ბაცაცები. არც რჩებათ არც წვრილფეხობა და არც რაიმე სათავსოვანი სახლში, თუ ქურდებმა დრო იშოვნეს. ამ ბოლოს დროს გაუძარცვავთ ფურნიშვილი, ბოჭორძელია და სხვა. ქურდებს მოპარული ნივთები წაუღიათ და ხოვის მონასტერში ერთ ბერისათვის მიუბარებიათ. ხალხი კვალში ჩასდგომია ქურდებს და დაუჭერია ხუთი კაცი და უცემია. შემდეგ მაზრის უფროსს სთხოვეს მათი სრულიად სოფლის საზოგადოებიდან გაძევება. უცემიათ იმ ბერისთვისაც, რომელსაც აღმოაჩნდა მიბარებული ნივთები. ეს ნივთები მისთვისვე ზურგზე აუკიდნიათ და ისე ჩამოუყვანიათ სოფელში. ხალხი შემდეგ ასულა დაპატიმრებულ ქურდების სახლებში, დაუწიოკებიათ მათი ოჯახები, 4 ხარი წაურთმევიათ და წამოსულან. ხარები სოფელს დაუკლავთ და სასოფლოდ მოუხმარიათ.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ უკვე დაამთავრა 1907 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის შედგენა და მალე საბჭოს წარუდგენს განსახილველად.

✦ 6 თებერვლის სხდომაზედ ქალაქის საბჭომ სიონის ტაძრის მნათედ ამოირჩია დ. ს. სტალინსკი.

✦ ამ ორი დღის წინად ვეტცელის ლუდხანაში ჩხუბი მოუვიდა ორს მუშას. ერთმა დასძლია მეორე, რომელსაც ჰქვიან სახელად ალექსი (გვარი ვერ შევიტყვეთ), დაუშინა ნაჯახი და ისე დაჭრა, რომ საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. მკვლელი დააპატიმრეს.

**შეცდომების გასწორება.** გაზეთ „ისარი“-ს მე-26 №-ში მოთავსებული სოსიკო მერკვილაძის წერილში „პასუხი არსენ დარეჯანაშვილის მე-12 სტრიქონში ზევიდან არის—„არა გვგონია ამ აზრითა და მიზნით იყოთ შემოსული ამხანაგათ. უნდა იყოს:—**ასე გვგონია ამ აზრითა და მიზნით უნდა იყვეთ შემოსული ამხანაგათ** და სხვ.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ორი თვე იქნება მას აქეთ, რაც ერთ-ერთ ჩემს კორესპონდენციაში აღვნიშნე ის გარემოება, რომ ქუთაისის გუბერნიის სამხედრო საკრებულოს მოხელენი სარგებლობენ თავის მდგომარეობით და მთხოვნელებს, გარდა ამისა, რომ არაფერ ყურადღებას არ აქცევენ, ზოგიერთ მათგანს, თუ-კი შეძლება ჰქონდა რამე, ქრთამსაც ართმევენ. მაშინ უტყუარი საბუთი არა გვქონდა, რომ დაბეჯითებით გვეთქვა ეს და ეხლა, როგორც გამოარკვია რევიზიამ, ამ დაწესებულებაში მექრთამეობას და ბოროტმოქმედებას ღრმად ჰქონია გამდგარი ფესვი.

გუბერნიის სამხედრო საკრებულო ისეთი დაწესებულობაა, რომ თუ ჯარში გაყვანილ ახალგაზდამ შესაფერი საბუთი წარადგინა იმისი, რომ იგი, ჯარის კაცად არ ვარგა, შეუძლია გაანთავისუფლოს იგი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მიღებულია მაზრის საკრებულოსაგან. როგორც რევიზიამ აღმოაჩინა, ამ უფლებით უსარგებლიათ ჯარში გასულ ახალგაზდებს, შესაფერი თხოვნებით მიუმართავთ გუბერნიის საკრებულოსთვის და უმრავლესობა გაუნთავისუფლებიათ სამხედრო ბეგრისაგან.

სამაზრო სამხედრო საკრებულოებს რაც ექნოდათ ასეთ განკარგულებაზე და თანახმად გუბერნიო საკრებულოს მოწერილობისა, ჯარის კაცობიდგან ანთავისუფლებდენ ისეთ კაცებს, რომელნიც ერთ ხმად იქნენ მიღებულნი მაზრის საკრებულოს მიერ. როცა რევიზიამ მოინდომა იმის გაგება—რა საბუთით ანთავისუფლებდა საკრებულო ჯარის კაცებს და საკრებულოს რეზოლუციის წიგნი გასინჯა, აღმოჩნდა, რომ ამ წიგნში მრავალი ფურცლები ამოხეულია და სამაგიეროთ სამაზრო საკრებულოებში აღმოჩნდა გუბერნიის საკრებულოს მიერ წარგზავნილნი წესიერად შემდგარი მიწერილებანი, რომლების ძალით უკანასკნელნი ანთავისუფლებდნენ ჯარის კაცებს.

გამოაშკარავდა თუ არა ეს, ერთი მოხელე, სახელდობრ ერასტი გოგავა, მიიმალა და დღესაც ვერ უპოვნიათ, მეორე მოხელე კომისაროვი სამსახურიდგან დაითხოვეს და რევიზია უფრო დაწვრილებით შინჯავს საკრებულოს საქმეებს. გარდა ამისა გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაითხოვეს ქუთაისის სამაზრო საკრებულოს საქმის მწარმოებელი გლადჩენკო და აქაც საგანგებო კომისია დანიშნეს სავლეხო საკრებულოს წევრის ზოსერმანის თავმჯდომარეობით საქმეების მისაღებად და სარევიზოთ.

✦ ადგილობრივ ადმინისტრაციას უცნობებია სამხედრო საკრებულოს მოხელეთ ნამყოფის ერასტი გოგავას მამისათვის, რომ თუ ერთი კვირის განმავლობაში არ წარმოადგინე შენი შვილი, შენ თითონ იქნები შეპყრობილიო!

✦ ამას წინად მოჰკლეს ს. გომში მღვდელი ცინცაძე და ამის გამო სამხედრო-საველე სამართალში მისცეს ძმანი ხუციაშვილი, რომელნიც სასამართლოს გაუმართლებია.

✦ უკანასკნელ ხანებში ქალაქში ახალი ჯარი მოდის და, როგორც ამბობენ, ამ ცოტა ხანში მრავალ ჯარს მოელიან და მათთვის ბინებიც დაუმზადებიათ. იმის თქმა, რით არის გამოწვეული ჯარის რაოდენობის გაძლიერება ქუთაისში, ძნელია, ყოველ შემთხვევაში სამხედრო დებულების მოსპობის იმედს არ მოასწავებს.

✦ 4 თებერვალს ქალაქის გამგეობის მოწოდებით შეიკრიბენ ქუთაისის ვაჭრები და ხელოსნები 15 წარმომადგენლის ასარჩევად იმ კომისიაში, რომელმაც უნდა შეიმუშაოს წესდება მომუშავეთა ნორმალურ დასვენების შესახებ. კრებაზე გამოცხადდა 60 დე კაცი, თუმცა ვაჭართა და ხელოსანთა რიცხვი ქუთაისში 400 კაცს აღემატება კრებამ წარმომადგენლებად აირჩია შემდეგი პირები:

ალიბეგოვი, გიორგი გორდაძე, ისხაკი მეყინულოვი, გერასიმე ეფრემიძე, ფილიპე ჭელიძე, გრიგოლ დგებუაძე, ალექსანდრე კოსტავა, იასონ ბუძგალავა, ნიკოლოოზ ინჯია, ფილიპე ხელაძე, პორფირე სინაურიძე, არსენ ბაბახიძე, სვიმონ გულავა, ფორპირე პატარიძე, და პავლე გვარამია, ამათ კანდიდატებად: ილია საღარიძე, იოსებ გვეტაძე, მირიან რუსიეშვილი, გიგო ნიკოლაიშვილი, ქრისტეფორე კოსტავა.

✦ ქალაქის სასწავლებლისათვის მოსაწვევი იყო ერთი მასწავლებელი და მასწავლებელთა კორპორაციამ სასკოლო კომისიის დაუკითხავად აირჩია მასწავლებელი და თავისი გადაწყვეტილება შეატყობინა კომისიას; ამ უკანასკნელმა იუცხოვა ასეთი საქციელი მასწავლებლებისა, მათი გადაწყვეტილება არ დაამტკიცა და სამაგიეროდ ყველა კანდიდატებს შეატყობინა, რომ ამა და ამ დღეს გამოცხადდით და გამოსაცდელი გაკვეთილი მიეცით და შემდეგ ამისა გადაწყდება კითხვა—ვინ იქნება მოწვეული მასწავლებლად. დანიშნულ დროს არავინ გამოცხადდა გაკვეთილის მისაცემად და საქმე დღესაც გამოურკვეველია. როგორც ამბობენ ეს განხეთქილება კომისიისა და მასწავლებელთა შორის ქალაქის საბჭოს განსახილველად გახდება.

✦ გუბერნატორის კანცელარიიდან ოთხი მოხელე დაითხოვეს იმ მიზეზით, რომ ვითომ შესაფერი კრედიტი არა აქვთ მათ ჯამაგირების გასაღებათ. ნამდვილ მიზეზად მოხელეების დათხოვნისას იმას ასახელებენ, რომ ვითომ მათ საჯაროთ გაჰქონდათ კანცელარიის საიდუმლოები და მათ მაგივრად მოუწყვიათ სხვა კანცელარიებიდგან სანდო მოხელეები.

✦ ცაგერიდან მოწერილ წერილში მემამულეთა არჩევნების შესახებ, იქ სადაც ლაპარაკია თავმჯდომარის მოქმედების შესახებ, შეცდომა მოგვივიდა. ამ წერილში ჩვენ ვამბობთ, რომ ბ-ნი დადეშქელიანის კენჭთა რაოდენობას, რომ სამი გარეთ დარჩენილი კენჭი არ მიმატებოდა, მაშინ მას და მის კონკურენტ პ. გელოვანს თანაბარი რიცხვი კენჭებისა მოუვიდოდათ. ვასწრაფით გავასწოროთ ეს შეცდომა, რომელიც ისედაც ცხადია.

## პრესსა

ეს ერთი ხანია ბათუმში განახლდა გაზეთ „ჩერნომ. ვესტნიკ“-ის გამოცემა

## ფელეტონი

### პოლიტიკური დამნაშავენი კატორგაში.

გ. კენანისა.

(დასასრული *)

1882 წელს კანანოვიჩის მაგიერ, კატორგის უფროსად დანიშნეს პოლკოვნიკი პატულოვი. პოტულოვის მოსვლისათანავე, ყველა პოლიტიკურნი, რომელთა რიცხვიც 100 არ აღემატებოდა, ახალ საპატიმროში გადაიყვანეს და 25 მოათავსეს თითო კამერაში. პირველ ხანებში მათს ცხოვრებას თითქმის არა უშავდა-რა, იმათ შეეძლოთ მუდამ დღე ეზოში სეირნობა, ფულების მიღება ნათესავებ-ნაცნობებისაგან, წიგნების კითხვა და, თუ მოისურვებდნენ, მუშაობაც სამჭედლოში ან სადურგლოში. სხვა პირობები კი ისევ ძველი დარჩა: იგივე აშმორებული ჰაერი, ბორკილი ფეხებზედ და ზოგიერთს ზედ გამობმული ტაჩკაც. ნათესავებთან მიწერ-მოწერა აკრძალული ჰქონდათ და ციხეში ჯდომის ვადის გასვლის შემდეგ, უფლება არა ჰქონდათ ციხის სიახლოვეს დასახლებისა. მათი ცხოვრება იმდენად აუტანელი იყო, რომ თვით გუბერნატორიც უნდა გამოტეხილიყო და 1882 წელს იმპერატორისადმი გაგზავნილს მოხსენებაში პოლიტიკურთა შესახებ შემდეგსა სწერდა: „პოლიტიკურნი დამნაშავენი, რომელთა რიცხვით 430 ავიდა წარმოუდგენელს მდგომარეობაში არიან, მაღაროებში მუშაობა სხვა პატიმრებთან ერთად აკრძალული აქვთ, სხვა რამ სამუშაოს მიცემა კი შეუძლებელია ადგილებისა და დარაჯების სიმცირისა გამო. ამიტომ გამუდმებით საპატიმროში ყოფნა მოშხამულს ჰაერსა და გარემოებაში ძალზე ცუდად მოქმედობს პოლიტიკურებზედ. მათ შორის საშინლად გახშირდა თავის მოკვლა და გაგიჟება. ერთი მათგანი, გვარად პოზენი, სულ რამდენიმე დღის განმავლობაში შესცდა ჭკუაზედ, დანარჩენთაგანიც მრავალნი ახლოს არიან სიგიჟეზედ. შინაგან საქმეთა მინისტრს მივმართე თხოვნით, რათა უკანასკნელთათვის დაექირავებინათ კერძო სახლი ჩიტაში, რადგანაც ციმბირში სულით ავადმყოფთათვის საავადმყოფო არ მოიძებნება და ევროპის რუსეთში არსებულნი კი სავსებით არიან სავსე“.

მათმა იმპერატრობითი უდიდებულესობამ კეთილ ინება და გუბერნატორის თხოვნას შემდეგი წააწერა: „სამწუხაროა, მაგრამ არა ახალი სურათია“.

აბა, რაღა გვეთქმის პოლიტიკურთა ცხოვრების ავ-კარგზედ, რომელიც მთავრობის მეთვალყურეთაგანაც კი ცნობილ იქმნა სასტიკად და აუტანელად. აი ამ აუტანელმა ცხოვრებამ აიძულა რამდენიმე გამბედავი და უშიშარი პოლიტიკური, როგორმე თავი დაეხწია მტარვალურ ცხოვრებისათვის. იმათ ჯერ გამოსთხარეს საპატიმროს ქვეშ ხვრელი, მაგრამ რადგანაც ხვრელი წყლით ივსებოდა, შეუძლებელი გახდა მუშაობის გაგრძელება. მაშინ ერთმა წინადადება მისცა, დამალულიყვნენ სადურგლოში, სადაც მათ ხან და ხან ნებას აძლევდნენ მუშაობისას, ღამით სახურავზედ აპარულიყვნენ და აქედგან კედელზედ გადამძვრალიყვნენ. ყველა ეს ადვილად მოსახერხებელი იყო, მაგრამ პოლიტიკურებს ყოველ დღე დასთვლიდნენ ხოლმე და, თუ ვინმე დააკლდებოდა, ადვილად მიხვდებოდა ზედამხედველი. პოლიტიკურებმა აქ შემდეგ ხერხს მიჰმართეს: ამოკითხვის დროს ჩვეულებად არ იყო მიღებული მძინარეთა გაღვიძება, ამიტომ გაპარულთა ლოგინი ისე შეიძლებოდა გაეკეთებინათ, რომ ზედამხედველს გაპარული მძინარეთ ჰგონებოდა. თუ გაპარვას მოახერხებდნენ, მდ. ამურს უნდა გაჰყოლოდნენ, ვლადივოსტოკამდის ჩასულიყვნენ და იქ რომელიმე ამერიკულს ხომალდს გაჰყოლოდნენ უცხოეთში. აპრილის ერთ მშვენიერ საღამოს, როცა ყოველივე მომზადება დაასრულეს მიშკინი და ხრუშჩოვი დაიმალნენ სადურგლოში. მორიგე ზედამხედველმა ვერაფერი შეამჩნია, რადგანაც მათი ლოგინი ისე იყო მორთული, თითქოს ადამიანს სძინავსო. მიშკინი და ხრუშჩოვი აძვრნენ კედელზედ და ისე ჩუმად გადაცოცდნენ საპატიმროს კედელზედ, რომ დარაჯმა ვერაფერი გაიგო. რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ რამდენიმე გაიპარა და ორის კვირის განმავლობაში საპატიმროს უკვე 8 კაცი აკლდა, რომელნიც სწრაფად დიდ ოკეანესაკენ მიეშურებოდნენ. მაგრამ ჩქარა ერთმაუბრალო შემთხვევამ ყველაფერი გამოამჟღავნა, ერთი ბელადების გაქცეულთაგანი, კედლიდგან გადახტომის დროს წყლით სავსე ორმოში ჩავარდა რამაც დარაჯის ყურადღება მიიქცია, დარაჯმა თოფი გაისროლა, მყისვე მთელი საპატიმრო ფეხზედ დადგა, დაუწყეს პოლიტიკურებს თვლა და აღმოჩნდა რომ 8 კაცი აკლდათ. მაშინვე პატიმართა მთავარმა გამგემ, რომელიც იმ ჟამად კატორგაში იმყოფებოდა და პოლკოვნიკმა პოტულოვმა ყველგან ტელეგრამები დაგზავნეს პოლიციისა და ადმინისტრაციას, რათა ყველგან გზები შეეკრათ. ყველგან გაგზავნეს მათი ფოტოგრაფიული სურათები და მოკლე ცნობები მათ შესახებ, დამჭერელს ჰპირდებოდნენ—აგრეთვე დიდს სასყიდელს. ერთის სიტყვით მთავრობამ სასტიკი ღონის ძიება მიიღო, რომლის წინაშეც სუსტნი იყვნენ ძალა-გამოლეულნი და მისუსტებულნი პოლიტიკურნი, რომელთაც არც გზა იცოდნენ და არც კვალი. ორმა მათგანმა მიშკინმა და ხრუშჩოვმა უკვე ვლადივოსტოკს მიაღწიეს,—მაგრამ ბოლოს მთავრობამ მაინც თავისი გაიყვანა და ბორკილ გაყრილები დააბრუნა სულ ყველანი კატორგაში.

კატორგის მთავრობა ემზადებოდა, რომ პოლიტიკურთათვის ჭკუა ესწავლებინა და წეს რიგი აღედგინა საპატიმროში. ამის მისახწევად, უპირველეს ყოვლისა ისინი ფიქრობდნენ, წაერთმიათ პოლიტიკურთათვის წიგნებისა, საცვლებისა, ფულისა და ლოგინ-ქვეშაგების ქონების უფლება, რასაც სულ უკანასკნელი დამნაშავეც კი მოკლებული არ არის. კატორგის მთავრობას ეგონა წინააღმდეგობას გაგვიწევენ პოლიტიკურნიო და დარაჯთა რიცხვი ერთი ორად გამრავლა. პირველ ათის დღის განმავლობაში არაფერ სასტიკ ღონის-ძიებისათვის არ მიუმართავთ, მაგრამ მეთერთმეტე ღამეს ფიცხლავ თავს დაესხნენ შეიარაღებული ყაზახები მძინარე პატიმრებს და დაწიოკება დაუწყეს. ეს ღამე კატორგის ისტორიაში ცნობილია „11 მაისის აწიოკებად“. 300—400 შეიარაღებული ყაზახი, პოლკოვნიკ რუდენკოს წინამძღოლობით სხვა და სხვა მხრიდან ერთსა და იგივე დროს შეცვივდნენ პოლიტიკურ დამნაშავეთა ოთხივე კამერაში, წაართვეს რაც კი რამ საკუთრება ებადათ და უწყალოდ ცემა-ტყეპდნენ. მათ ბინებიდან გამოსულმა პოლიტიკურებმა, სცადეს წინააღმდეგობის გაწევა, აგლიჯეს ტახტს ფიცრები და ცემა დაუწყეს ყაზახებს, მაგრამ ყაზახებმა თოფის კონდახებით იმდენი სცემეს, რომ გრძნობა დაკარგულნი სიკვდილის პირს მიიყვანეს. ესრედ ნაცემ-ნაგვემნი და მთლად დასისხლიანებულნი, ნახევრად შიშველ-ტიტველნი და უსმელ-უჭმელნი გზას გაუყენეს სხვა საპატიმროსაკენ სამს ჯგუფად გაყოფილნი. თითონ ჯგუფს თან გააყოლეს 50-100 ყაზახი, რომელთაც ნაბძანევი ჰქონდათ თოფის კონდახები არ დაეზოგნათ. გზაზე პოლიტიკურებმა სთხოვეს დასვენე-

*) იხ. „ისარი“ № 26.

შ. დავიდოვის რედაქტორობით და ა. ნიკიტინის გამომცემლობით. ნეტარ-ხსენებულის პალმის „ჩერნომ. ვესტნიკ“-ის მთავარი დანიშნულება და საზრუნავი საქმე იყო ქართველების დევნა. ბ-ნი პალმი არ ჰფარავდა და პირდაპირ ებრძოდა ქართველ ერის ყოველ ცდას, ყოველ ნაბიჯს თვით-გამორკვევის გზაზე. ეს იყო მტერი პირდაპირი და ქართველმა ხალხმა იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე... სულ სხვაა ალორძინებული „ჩერნომ. ვესტნიკ“-ი. ვის ემსახურება და რას ემსახურება ეს გაზეთი, ძნელი გამოსარკვევია. ხან სოციალ-დემოკრატობს ვითომ, მაგრამ ცხადია ს.-დემოკრატიასთან მას არავითარი კავშირი არა აქვს; ხან რუსეთის იმპერიის მთლიანობის დამცველად გამოდის იმავ არგუმენტებით, როგორიც „ჭეშმარიტ რუსებისაგან“ გვე’მის. მაგრამ ყოველივე ეს გარეგანი ფონია მხოლოდ; ნამდვილ სულსა და გულს გაზეთის არსებობისას კი, ლეიტ-მოტივს ყველა მის „პრინციპიალურ“ წერილებისას შეადგენს ფედერალისტების ლანძღვაგინება. აქ, ამ საქმეში, გაზეთის თავდაუჭერლობა საარაკოა; არაფერს არ ერიდება, არაფერს არ ზოგავს; რაც ენაზე მოადგება, ყველაფერს სწერს ბრაზმორეული და გაფთრებული. ავტონომია და ფედერაცია, უფრო კი ფედერალისტი მისთვის იგივეა, რაც წითელი ჩვარი გამხეცებულ ხარისათვის. ვინ და რამ უკბინა, ვინ და რამ გაამწარა ბ.ბ. შიო დავიდოვი და ალ. ნიკიტინი ისე, რომ უსაზღვროდ შეაძულებინა ავტონომია და ფედერალისტები,—ეს ჩვენთვის საინტერესო არაა; ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ ფაქტი, რომ ახლად აღორძინებულს „ჩერნომ. ვესტნიკ“-ში ქართველ ხალხის ერთ-ერთ ცდას ეროვნულ თვითგამორკვევის საქმეში პალმზე უარესი მტერი აღმოუჩნდა; უარესი იმიტომ კი არა, რომ ბ.ბ. დავიდოვს, ნიკიტინს და ამხ.-ს ძალა შესწევთ, არამედ იმიტომ რომ ეს „მგლები“ ცხვრის ტყავში ეხვევიან და ვითომ ხალხის ინტერესებს იცავენ, ვითომ ავტონომია-ფედერაციას იდეიურად ეწინააღმდეგებიან, როგორც ჩვენი ს.-დემოკრატები. ნამდვილად-კი „ჩერნ. ვ.“-ის და ს.-დემოკრატიის შეხედულების შუა ავტონომიაზე საერთო არა არისრა და მათი ბრძოლა ფედერალისტების წინააღმდეგ სულ სხვა და სხვა ჯურისა არის... ნიმუშად მოვიყვანთ ადგილებს მხოლოდ ერთ წერილიდან, რომელიც უფრო „პრინციპიალურია“ ვითომ და რომლითაც გაზეთი თავის აზრს არკვევს ვითომ ავტონომიაზე და ფედერალისტებზე. შეფერხდა და დაგვიანდა რუსეთის განახლების საქმეო, სწერს ამ გაზეთის მეფელეტონე შ. დ.; ამის მიზეზი არიანო „ჭეშმარიტი რუსები“ და... ადგილობრივი ფედერალისტებიო, რომელნიც თითქო იმ აზრით გაიმსჭვალენ განზრახ, რომ შეიტანონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხეთქილება და სულიერად ერთმანეთს დააშორონ ერთმანეთთან შესისხლხორცებული ერები.

მაგრამ თურმე მეტი ბრალი ფედერალისტებს მიუძღვით, რომ რუსეთი ამდენხანს ვერ განახლდა, რადგან

«ჭეშმარიტ რუსებს» კარგად ვიცნობთ, ხოლო ფიზიონომია «ჭეშმარიტ ქართველებისა» ან ფედერალისტებისა სავსებით გამორკვეული არაა. თვითონ ისინი ბეჯითად ნიღაბს იფარვენ და სახ. სათათბიროს არჩევნებშიაც-კი არ გამოაცხადეს თავიანთი ლოზუნგი. იმიტომ-კი არა რომ ეს სახიფათო იყოს პარტიისათვის. სრულიადაც არა. ხომ არ იმალებიან ს.-დემოკრატები, რომელთა პარტია იტანს ზეციერსა და მიწიერს წყრომას. არა, ფედერალისტების პარტიას ემინია სინათლისა და ურჩევნია играть въ темную, როგორც გვამცნო აქაურმა მათმა გაზეთმა არჩევნების დღეს.

რას ნიშნავს ეს „играть въ темную“ შ. დ. ამგვარად გვიხსნის:

ფედერალისტების პარტიის წადილი მხოლოდ ის რომ იყოს, რომ საქართველოში, კავკასიაშიაც და საზოგადოთ მთელს რუსეთში ფართო თვითმართველობა დამყარდეს, რასაკვირველია პროგრესიულ საზოგადოებას ამის წინააღმდეგ არაფერი ექნებოდა... მაგრამ თუ რომელიმე პარტია რაღაც კეკემალურობას თამაშობს და ჩრდილს აყენებს მთელს ერს, რომელიც ვითომ რაღაც განკერძოვებისაკენ მიისწრაფვის, მაშინ ასეთი პარტია თავისიანებსაც და სხვებსაც ჰღუპავს...

აი „პრინციპიალური შეხედულება“ ფედერალიზმზე და ავტონომიაზე. ვინც ფედერალიზმს ქადაგობს, ის თურმე играетъ въ темную. ავტონომიის მოთხოვნა ქართველთაგან „დაღუპავს უქადის მთელ ქართველ ერსაო“, დასძენს „ჩერნომ. ვესტნიკ“-ი. როგორც ჰხედავთ, აქ პრინციპები არაფერს შუაშია; აქ მონობის ქადაგებაა და ბრძოლაა ერთა მისწრაფების წინააღმდეგ თვით გამორკვევისა და თავისუფლებისაკენ; აქ „ნოვ. ვრ.“-ს, „მოსკოვ. ვედომ.“-ს და „ჭეშმარიტ რუსთა“ მძულვარებაა არა-რუსთა მიმართ: როგორ ჰბედავენ ინოროდცები ავტონომიაზე და რუსეთისგან განცალკევებაზე ფიქრს! ახალი „ჩერნომ. ვ.“ იგივე პალმის „ჩერნომ. ვ.“ არის იმ ცვლილებით, რომ პალმი „აკადემისტების“ სახელით მთელს ქართველ ერს დევნიდა, ახლანდელი პალმები-კი ფედერალისტების სახელით სარგებლობენ, რათა დაჰგმონ ქართველ ერის მუდმივი მისწრაფება თავისუფლებისაკენ. ამას ამტკიცებს გაზეთის რწმუნება, ვითომ ფედერალისტები играють въ темную, ვითომ ისინი ჰფარავენ თავის ნამდვილ მისწრაფებათ და ვითომ ქართველ ხალხს ისეთი თვითმართველობა უნდა, რომელიც „ჭეშმარიტ რუსებსაც“-კი არ დააფრთხობს!.. შ. დავიდოვი და ა. ნიკიტინიც მივუმატოთ „გოლოს კავკაზ“-ის და „ნოვ. ვრ.“-ს ქართველჭამიებს: „ღმერთი მოწყალეა“ — გავუძლებთ...

# პროვინციის ცხოვრება

**თელავი.** ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა თანამდებობაზე ამას წინად არჩეული ქალაქის რწმუნებულნი. ახალ ხმოსნების პირველი სხდომა 30 იანვარს იყო დანიშნული. გამოცხადდა 10 ხმოსანი. ვიდრე კრებას გახსნიდა თავმჯდომარე ბ-ნი მ. ვერმიშევი, ხმოსნები დაიყვნენ, ქართველები და სომხები ცალ-ცალკე.

პირველად უნდა აერჩიათ ქალაქის მოურავის მოადგილე. ზოგნი თანახმანი არ იყვნენ და ითხოვეს ქალაქის მოურავის არჩევნებთან ერთად აგვირჩიოთ მოადგილეცაო, მაგრამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტეს ამ სადამოთივე მოეხდინათ არჩევნები და ერთხმად ქალაქის მოურავის მოადგილედ აირჩიეს არტემ ალ. ტერ-სარქისოვი.

დიდი ბაასი გამოიწვია ხორცზე ნიხრის დაწესებამ. როგორც ყველამ განაცხადა, თვითმმართველობა ნიხრს ტყუილად აწესებს; ყასბები როგორც უნდათ, ისე ჰყიდიან. ბევრი ლაპარაკის შემდეგ დაადგინეს: ძროხის ხორცი ორად, კარგ და დაბალ ხარისხად უნდა გაიყოს და დაწესდეს 9 და 11 კაპ., ხოლო ცხვრის, ღორის და ხბოს ხორცზე 13 კაპ. გირვანქაზე. ამასთან გადასწყვიტეს ამიერიდან მეტი ყურადღება მიაქციონ, რომ ხორცი დაწესებულ ნიხრზე იყიდებოდეს ხოლმე.

ამ სხდომაზედვე უნდა აღენიშნათ იმ კომისიის წევრთა რაოდენობა, რომელმაც უნდა განსაზღვროს ვაჭრობა-მუშაობის და დასვენების დრო. ამასთან ამ კომისიაში ქალაქის მხრიდან წარმომადგენელნი უნდა აერჩიათ. არჩევნების წინ ხმ. ვ. პაატაშვილმა კრებას მოახსენა: რადგანაც ამ კომისიაში ნოქარ-ქარგალთა გარდა, ვაჭრების და ხელოსნების რწმუნებულებიც იქნებიან და ქალაქმაც თუ თავის მხრივ ისევ ვაჭრები აირჩია, მაშინ ამ უკანასკნელთა რიცხვი გაორკეცდება და შეიძლება ნოქარ-ქარგალთა ინტერესები დაიჩაგროსო. ამიტომ წინადადება მისცა, ასეთი პირები არ აერჩიათ კომისიაში. ეს წინადადება მიღებულ იქმნა. გადასწყვიტეს, კომისია შედგეს 25 კაცისაგან და ქალაქის მხრივ აირჩიეს 5 კაცი: ვ. როსტომაშვილი, ფ. იმხანოვი, ვ. პაატაშვილი, გ. ხიზანაშვილი და მ. ტერ-არუთინოვი.

სამხედრო წესების გამო თელავში ჯარი და ყაზახები მოუმატეს. ამათ ქალაქი აძლევს სახლს, სანათს, შეშას და სხვ. ეს კი მძიმე ტვირთად აწვება ისედაც დაცარიელებულ ქალაქის კასას. ამის შესახებ სჯა-ბაასი ჰქონდათ ხმოსნებს და დაადგინეს შემდეგი: დეპუტაცია გაიგზავნოს გენერალ-გუბერნატორის რწმუნებულთან, აუხსნან ქალაქის მდგომარეობა და სთხოვონ, თელავში მდგომი ზედ-მეტი ჯარი ან თელავიდან გაიყვანონ, ან კიდევ ყაზარმაში მაინც მოათავსონ. დეპუტაციაში აირჩიეს დრ. ქალაქის თავის მოადგილე მ. ვერმიშევი და ხმოსნები ვ. როსტომაშვილი და ა. ტერ-სარქისოვი.

**ს. მეტეხი** (ქართლი). ჩვენს ისედაც შეწუხებულს და დასაცოდავებულს ხალხს, ზედ დაჰგვრთო კიდევ ერთი უბედურება— გადამდები სენი, რომელმაც არ დაინდო არც მოხუცი, არც ყმაწვილი. როგორც მახლობელ სოფლებში—ახალ-ქალაქსა და ყარაღაჩში—იმსხვერპლა ოცობით, ეგრეთვე ჩვენშიაც. რამდენიმე თვეა აგერ ეს სენი მძვინვარებს აქეთკენ და დღევანდლამდის საშველი არსაიდან არის. დაკმაყოფილდნენ იმით მხოლოდ, რომ გამოაცხადეს—ეს ქუნთრუშა არისო. ვინ იცის, იქნება სხვაც რამ იყოს; მაგრამ ეგ სულ-ერთია: უბედურება ისაა, რომ დახმარების აღმოჩენას არავინ ფიქრობს და ხალხი „ღვთის ანაბარაზეა“ მიგდებული. დროა, ვისიც „ჯერ არს“, იმან მაინც მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას.

**უცხოელი.**

**ზესტაფონი.** არ სცხრება აფრასიონ მერკვილაძე, რომლის გამოისობითაც აუწერელი ტანჯვა და ვაება გამოიარა შორაპნის მაზრამ; არც თხოვნამ გასჭრა, არც ს.-დემოკრატიის მუქარამ და ვერავინ ვერ მოაშორეს შორაპნის მაზრას აფ. მერკვილაძე და პოლიციასაც ეს უნდა. სად გამოიჩენს თავს პოლიციელი, თუ არ მერკველ ძის დევნაში. გ. ნემსაძემ, რომელსაც არა თუ ბოქაულობა, სტრაჟნიკობაც-კი ენატრებოდა, მერკვილაძის და მის რაზმის დევნაში ბოქაულობა გამოიკრა და ნემსაძის სახლობებს, რომ დაუჯეროთ, დღე ისე არ გავა თურმე, რომ მადლობით არ მოიხსენიოს მერკვილაძის მოღვაწეობა შორაპნის მაზრაში. სხვას თუ არაფერს მოიღებს ეს მაინც მიიღოს მხედველობაში და მოშორდეს შორაპნის მაზრას. ეს ლაპარაკი იმიტომ ჩამოვაგდე, რომ სულ რამდენიმე მას აქეთ, რაც მერკვილაძის სახელით მოსულა რამდენიმე რაზმელი საჯარის სანერგის გამგის გორაევთან და რაღაც მუქარის წერილი მიუტანია. სწორედ ამ დროს შეუმჩნევიათ რე-მინგტონის საწერი მანქანა მიმიოგრაფით, მოსწონებიათ იგი, როგორც ეტყობა, და მიუთვისებიათ. ამასთანაშემთხვევა მრავალია და შესაძლებელია მერკვილაძის სახელით ბოროტ-მოქმედებდნენ. სწორედ ამისთვის არის საჭირო, იგი გასცილდეს დროებით მაინც აქაურობას და ხალხს დამშვიდებული ცხოვრება მიანიჭოს.

## ტფილისის ქალაქის საქმეები.

მეტად გაჭირვების მდგომარეობაშია ტფ. ქალაქის გამგეობა ზოგიერთ ხმოსანთა გადამკიდე. ეს რამდენი ხანია, ხმოსანთა სამი მეოთხედი სისტემატიურად არ ესწრება საბჭოს კრებას. ქალაქის გამგეობა ზოგიერთ ხმოსნებთან ერთად ყოველ ორშაბათობით 8 საათიდან ათ საათამდე უცდიან ხოლმე „მამების“ მობრძანებას, მაგრამ ამაოდ. უკანასკნელ კვირეებში გამგეობა ბევრჯელ ემუდარა ხმოსნებს, დაემუქრა კიდეც, დავაჯარიმებთო თუმცა 5 თებერვალს 35 ხმოსანი შეიკრიბა, მაგრამ ერთი საათის შემდეგ „მამები“ ისე ჩუმად გაილალნენ, რომ ძლივს 24—25 კაცამდე ღა დარჩა. წვრილმან საქმეების განხილვის გარდა, საბჭომ დაამტკიცა გამგეობის დადგენილება, რომლის თანამხმადაც უნდა აღიძრას შუამდგომლობა, რომ ტფ. ქალაქის თვითმართველობას პოლიციის შესანახად დარჩენილი ფული, სულ 195,000 მან., ერთბაშად არ გადახდეს, არამედ ნაწილ ნაწილად 2 წლის განმავლობაში, რადგან ქალაქი უფულობისა გამო გაჭირვებულ მდგომარეობაშია.

ა. ი. ხატისოვმა საბჭოს წარუდგინა მოხსენება ტფ. ქალაქის თვითმართველობის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. გამგეობა საბჭოს სთხოვდა, დავნიშნოთ მუშების მინიმუმი ჯამაგირისა, თვეში არა ნაკლებ 25 მან. თითოს. ფ რნების გამნათლებელ მუშებს უნდა დაენიშნოთ თვიურად 26 მან., ქუჩების მწმენდელ, ფეხის ადგილებისა და არხების დამსუფთავებელ ნუშებს 30 მან. ამას გარდა უნდა მიეცეთ მუშებს თბილი ჩასაცმელი და ერთი საზაფხულო, უნდა გამოუწეროთ თითო გაზეთი. დამატებით ს. ყასბოს მუშებს უნდა მიეცეთ ხუთ ხუთი მანეთი ბინის ქირა, ამათვე ფეხსაცმელები და სხვ. სულ დამატებით ჯამაგირებისათვის 1906 წელს საბჭოს დაუხარჯავს 5149 მან. 56 კაპ.; ამ ფულით გამოუწერია გაზეთები, მიუცია ბინის ფული და სხვა გამგეობა თავის ასეთ მოქმედებას ამართლებს იმითი, რომ ამ საკითხის განსახილველად მან მოიწვია საბჭოს სხდომა 20 ივლისისათვის. მაგრამ ხმოსნები არ გამოცხადნენ და მოხსენება განუხილველი დარჩა. გამგეობამ მუშათა მოთხოვნილების დაკმაყოფილებით თავიდან აიცილა გაფიცვა მუშებისა დასასრულ, გამგეობა თავის მოხსენებაში ამბობს, რომ თუმცა ფორმალურ სახით არა კანონიერი და პასუხის საგებელი მოქმედება ჩავიდინო, მაგრამ იგი მოვიქეცით თანახმად საბჭოს სურვილისა, რადგან ტფილისის საბჭოს ყოველთვის დიდის თანაგრძნობით ეკიდება მუშათა კლასის ინტერესებსაო.

მოხსენებამ ხანგრძლივი და მწვავე კამათი გამოიწვია. ლ. ტიგრანოვმა უსაყვედურა გამგეობას, მან თავის დროზე არ მოინდომა ამ მოხსენების საბჭოში წარდგენა.

რაც შეეხება დამატებით ფულის გაღებას მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საბჭო უარს არ იტყვის, მაგრამ საიდან გადაედო ეს ფული, რატომ წ[illegible] არ [illegible] ხმ. მელიქ ბეგლიაროვი იძახოდა, ეს უკანონოდ ფულის ხარჯვაა [illegible]. ლაპარაკა ხმ. ა. მ. არგუთინსკიმ, რომელმაც სამართლიანად სცნო გამგეობის მოქმედება, რადგანაც ხმოსნები არ დადიან სხდომებზე და მოთხოვნილება კი მუშებისა ისეთ პირობებშია და დროში მოხდა, რომ გამგეობა იძულებული იყო ასე მოქცეულიყოო. ხმოსანი შეეხო საფინანსო კომისიას, რომელიც წინააღმდეგია მუშებისათვის გადადებისა და სთქვა, თუ ქალაქი, რომლის წლიური ბიუჯეტი მილიონ ნახევარს უდრის, მუშებისათვის როგორც 11,000 მან. ვერ გამონახავს, სხვა უფრო დიდ საქმეებში იგი ვერაფერს გააკეთებსო. შემდეგ ილაპარაკეს ხმ. ბაბოვმა, ი. დოლუხანოვმა, ენფიანჯიანცმა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გამოარკვია, რის თქმა უნდოდა. ერთის სიტყვით, თითქმის თანახმანიც იყვნენ და წინააღმდეგნიც. ხმ. ა. ბ. ევანგულოვმა 25 მანეთის ჯამაგირიან მუშებს «კრეზებიც» უწოდა და განაცხადა, ასეთის ჯამაგირების მომატებით უხერხულ მდგომარეობაში თვით მუშებს ჩავაყენებთ, რადგან ამით უსაქმო მუშათა რიცხვს გავამრავლებთო. (?) ხმოსნებს უპასუხა გამგეობის წევრმა ა. ი. ხატისოვმა. ხმ. ხატისოვმა სთქვა, თუ საბჭო არ მიიღებს ჩვენს დადგენილებას, იძულებულნი ვიქნებით მოვიწვიოთ მუშები და ვეხვეწოთ—ეგებ დასთანხმდნენ წინანდელ ჯამაგირს. თუ ამან არ გასჭრა, უნდა მივმართოთ პოლიციას; თუ ამანაც არ იმოქმედა, მაშინ ძალას უნდა მივმართოთო. აქ ერთი ხმაურობა და ყვირილი ასტყდა. იძახდენ, მოხსენება შემოიტანეთ და არა პოლიციასა და ძალას მიმართეთო. გამოირკვა, რომ საბჭოში კანონიერი რიცხვი ხმოსნებისა აღარ იყო და საკითხის განხილვა აღარ შეიძლებოდა. ხმ. ვ. მიქელაძემ გამგეობას მოსთხოვა ხატისოვის სიტყვები ოქმში შეეტანათ და შემდეგ სხდომაზე განევრძოთ ამავე საგანზე თათბირი.

# რუსეთი

✦ **მთავრობის წრეები ოპპოზიციის გამარჯვების შემდეგ.** არჩევნებში ოპპოზიციის, მთავრობის მოწინააღმდეგეთა, გამარჯვებამ ერთობ დააფიქრა მთავრობა. ყველაზე უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია რუსეთის მმართველებზე მოსკოვში კადეტების გამარჯვებას. სტოლიპინი საჩქაროდ დაბარებულ იქნა ცარსკოე სელოში, საიდანაც ერთობ აშფოთებული დაბრუნებულა. წარჩინებულ მოხელეთა წრეებში ხმა გავრცელდა: სტოლიპინს გამოუცხადეს, თუ მთავრობა მეორედ მოწვეულ სახელმწიფო სათათბიროს დაითხოვს, მინისტრთა კაბინეტის მიზეზით კი არ მოახდენს ამას, არამედ რაიმე უფრო სერიოზული მიზეზითაო.

ცარსკოე სელოში, ხელმწიფის სასახლეში, ამ ჟამად სწყდება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეპყროს მთავრობა ახალ სათათბიროს. მთავრობის წრეებში სამი აზრი ტრიალებს: 1) რაიმე გარეგნულად კანონიერი, ფორმალური მიზეზი უნდა აღმოჩნდეს ახალ არჩევნების დასანიშნავად: 2) ადრესსის წაკითხვის შემდეგ სათათბირო დროზე უნდა დათხოვნილ იქნას, რათა ხალხის თანაგრძნობა არ მოიგოს (ამ აზრის მომხრეა დღევანდელ მინისტრთა კაბინეტის მომხრე პარტია); 3) მთავრობა უნდა შეურიგდეს ახალ სათათბიროს და მინისტრთა კაბინეტი მსხვერპლად შესწიროს. როგორც სჩანს, ამ მესამე აზრს მეტი მომხრე ჰყოლია. სტოლიპინის მდგომარეობა ერთობ შერყეულია და ამიერიდან წინანდელ თავისუფლებით ველარ ისარგებლებს.

✦ **სამღვდელოების ზრუნვა.** რუსეთის სამღვდელოება ამ ბოლო დროს განსაკუთრებულის გულმოდგინებით ზრუნავს, რათა ხალხში მართლ-მადიდებლობა განამტკიცოს. ამ ჟამად სამღვდელოება ემზადება სრულიათ რუსეთის სამღვდელოთა წარმომადგენლების კრებისათვის და წინ-და-წინ კომისია აირჩია, რომლის ზოგიერთი წევრი შემდეგ საყურადღებო დასკვნას დასდგომია. მაგალითად დეკანოზი კაზანსკი იმ აზრისა არის, რომ მრევლში მართლ-მადიდებლობის გასამტკიცებლად სასარგებლო მღვდელმა ბავშვებს ზეპირად ათქმევინოს „მრწამსი“ და პირობა ჩამოართვას, მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას არ უღალატონ. კომისიის მეორე წევრი კუზნეცოვი იმ აზრისა ყოფილა, რომ დღეს არსებული სავალდებულო წესი რუსეთის ყველა მცხოვრებთათვის—ყოველ წელს აღსარება და ზიარების მიღება—საკმაო არ არის: მცხოვრებლები რამოდენიმეჯერ ეზიარონ.

ბა, რადგანაც 20 ვერსზედ მეტი ჰქონდათ გასავლელი და დილიდგანვე უჭმელუსმელნი იყვნენ. ყაზახებმა ნება არ მისცეს. მაშინ ის პოლიტიკურნი, რომელიც ხელებზედ ბორკილი არა ჰქონდათ, განზედ გადგნენ და ქვების ცემა დაუწყეს ყაზახებს. საშინელი ჩართული ომი გაიმართა, ბოლოს რასაკვირველია დამარცხებულნი პოლიტიკურნი აღმოჩნდნენ, რომელთაც ხელები გაუკრეს უკან და ისე მიიყვანეს საპატიმრომდის. ახალს საპატიმროში ისინი ოროლნი ჩაჰყარეს პატარ-პატარა აყროლებულს ოთახებში, სადაც ცივს, ნესტიანს ქვის იატაკზედ მთელის დღის დაღლილებმა ძლივს მოისვენეს.

კატორგის მთავრობამ დაასხრო თავისავე გამოგონილი აჯანყება პოლიტიკურთა და საჩქაროთ აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს თავისი გამარჯვება.

ორის თვის განმავლობაში პოლიტიკურნი ასე თითო-თითოდ კარჩაკეტილნი ჰყავდათ და ერთმანეთის ნახვა და გამოლაპარაკება აკრძალული ჰქონდათ. მიშხამულმა ჰაერმა, არა საკმარისმა ჭამასმამ და ერთ ადგილას ჯდომამ თავისი გაიტანა: სურავანდი მოედო ყველას და ორი მაღვანი ჟუკოვსკი და ტიხონოვი სიკვდილის პირს იყვნენ. მთელს ამ ხნის განმავლობაში არ უბრუნებდნენ წართმეულს ფულებს, რომ ლოგინი, საცვლები და სხვა საჭირო ეყიდნათ. პოლკოვნიკმა პოტულოვმა მხოლოდ მაშინ დართო ნება ყველა ამაების ყიდვისა და ფულები დაუბრუნა, როცა სურავანდი ყველას მოედო..

ბოლოს ციხის მთავრობამ რვა საშიში პატიმარი შლისენბურგის ციხეში გაგზავნა, რათა იქ სამუდამოთ დაელპოთ, და დანარჩენნი ძველს საპატიმროში გადმოიყვანეს, რომელშიაც ყოველი წინანდელი კამერა სამათ გაეყოთ, რის გამოც ისეთი სივიწროვე იყო, რომ ორი კაცი ერთმანეთს გზას ვერ უქცევდა. ამას გარდა ყოველ ოთახში განავალი იქვე იდგა და ისეთი შემზარავი სუნი იდგა, რომ კაცი ჰკუაზედ შეიშლებოდა, ყოველივე თხოვნა და მუდარება ამაო იყო, რადგანაც მთავრობა ურჩევდა, წყნარად ყოფილიყვნენ, თორემ უარეს დღეს დააყენებდნენ. მაშინ პოლიტიკურებმა უკანასკნელს საშუალებას მიჰმართეს და სიმშილობა გამოაცხადეს. ამათ განუცხადეს პოლკოვნიკ ხალტურინს, რომ ამათი ცხოვრება იმდენად შემაძრწუნებელი გახდა, რომ სიკვდილს ამჯობინებენ ასეთს სიცოცხლეს, და მტკიცედ გადასწყვიტეს უარი სთქვან საჭმელზე, სანამ შიმშილით სული არ ამოუვათ ან და ადამიანურად მოპყრობას არ დაუწყებენ. მათს კანცხადებას არავითარი ყურადღება არ მიაქცია კატორგის მთავრობამ და იმათაც საჭმელისთვის ხელი აღარ უხლიათ. დღედღეზედ გადიოდა და სიკვდილის სუნი ტრიალებდა ციხეში. მეხუთე დღეს პოლკოვნიკმა ხალტურინმა იკადრა და გამოაცხადა ციხეში და შეეკითხა პოლიტიკურებს, რა პირობით აიღებენ ხელს სიმშილზედ. იმათ უპასუხეს, რომ უარს იტყვიან სიმშილზედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განავალი ოთახებში აღარ იდგება, წიგნების კითხვის ნება ექნებათ, მუდამ დღე სუფთა ჰაერზედ სეირნობისა, ფულის მოხმარებისა საცვლებისა და საჭმლის შესაძენად აკრძალული არ ექნებათ. ყველა ამას გარდა პოლკოვნიკს მტკიცე აღთქმა უნდა მიეცა, რომ მათგანს აღარავის სცემდნენ და აწამებდნენ. პოლკოვნიკმა გადაჭრილი პასუხი ვერაფერზედ მისცა და პოლიტიკურებმა კვლავ განაგრძეს სიმშილი. მეათე დღეს პოლიტიკურნი ძალიან შესწუხდნენ და რამდენიმე მათგანი სიკვდილის პირას იყო. ხალტურინმა უბძანა ფერშალს, ფხიზლად ეგდო ყური პოლიტიკურთათვის, რომ არავინ მომკვდარიყო. პოლიტიკურნი სიმშილს მაინც განაგრძობდნენ, ისინი მტკიცედ ადგნენ თავიანთს გადაწყვეტილებას და უშიშრად ეგებებოდნენ სიკვდილს. ბოლოს მათმა გაბედულობამ გასჭრა, მრისხანე პოლკოვნიკი მოლბა და 13 დღეს პირობა მისცა, რომ ყოველივე მათს მოთხოვნილებას აღასრულებდა.

ასეთია პოლიტიკურთა მდგომარეობა კატორგაში, ასე აწამებენ და სტანჯავენ იმ პირთ, რომელნიც სამშობლოს კეთილდღეობისთვის იბრძოდნენ და რომელნიც სხვა თავისუფალს სახელმწიფოში რომ დაბადებულიყვნენ, აუარებელს სარგებლობას მოუტანდნენ და სახელსა და დიდებას მოხვეჭავდნენ. **ჯ. ედილი**

✦ **აურ-ზაური „ნამდვილ რუსთა კავშირში“.** გერცენშტეინის მკვლელობაში მონაწილეთა გამომჟღავნებამ დიდი შფოთი ჩამოაგდო „ნამდვილ რუსთა კავშირის“ წევრთა შორის. ისინი იმდენად დაფრთხალან ამ ბოლო დროს, რომ 245 კაცს უკვე კავშირის წევრობაზე ხელი აუღია.

✦ **არა-ჩვეულებრივი საქმე.** სენატმა ამ მოკლე ხანში უნდა განიხილოს საქმე გაზ. „რუს“-ის რედაქტორის კრამალეის შესახებ, რომელსაც ბრალდება სენატის შეურაცხყოფა. ეს პირველი საქმე ყოფილა სენატის პრაქტიკაში. მან თავისი შეურაცხმყოფელი თითონ უნდა განასამართლოს. ბრალდებულმა კრამალეიმ ერთს თავის წერილში უწოდა სენატს შემდეგი სახელები: „ფუნიკულერი“, „ადმინისტრატიული ნახევარ-სასამართლო“, „ლუდხანა“ და სხვა.

✦ **შეთქმულობა დაცვის განყოფილების ასაფეთქებლად.** როგორც უკვე ვაუწყეთ მკითხველს, ახალ წელიწადს ტერორისტებს განეზრახათ პეტერბურგის დაცვის განყოფილების აფეთქება. ეს საქმე უკვე გამოუძიებიათ და სამართალში მიუციათ 18 კაცი. მათ შორის ორი თვით ამ დაცვის აგენტები არიან; ამათ სხვა და სხვა ნაირი მოწყობილება გაუმართავთ შენობის ასაფეთქებლად.

✦ **კაცის მკვლელი ჯალათის როლში.** პეტერბურგის სატუსაღოში მოუყვანიათ ვიღაც პოდგურსკი, რომელსაც რამოდენიმე კაცის მკვლელობისათვის სამხედრო-საველე სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. ახლა პოდკურსკისათვის წინადადება მიუციათ: თუ ჯალათობას იკისრებ, დანაშაულს გაპატიებთ და სიცოცხლეს გაჩუქებთო. პოდგურსკი დათანხმებულა და დღემდის უკვე რამოდენიმე კაცი ჩამოურჩჩვია.

✦ **პეტერბურგის პოლიციის მოქმედება.** ამას წინად პეტერბურგში დახურეს ერთი წიგნის საწყობი, საიდანაც პოლიციელებმა გაიტანეს 150 ფუთი წიგნი. ახლა ეს საქმე სასამართლოს პროკურორს გადაეცა, რომელმაც მოსთხოვა პოლიციას წაღებული წიგნები, ხოლო პოლიციის ნადავლი უკვე კვალ-წმინდათ გამქრალა.

✦ **კადეტების მომავალი კრება.** კადეტების ცენტრალური კომიტეტი ამჟამად ამზადებს მასალას მთელი პარტიის მომავალ კრებისათვის, რომელიც დანიშნულია 14 თებერვალს პეტერბურგში. თუ მთავრობა კრებას ხელს შეუშლის, კადეტების დელეგატები ფინლიანდიის დედა-ქალაქში, ჰელსინგფორსში, მოიყრიან თავს.

✦ **სატუსაღოების მდგომარეობა.** სატუსაღოების უმთავრეს გამგეობას პეტერბურგში ცნობები მოსდის ყოველის მხრიდან, რომ რუსეთის სატუსაღოებში ტევა აღარ არის. არა მარტო კაცების, არამედ ქალების განყოფილებაშიაც სამჯერ იმაზე მეტი ტუსაღი ყოფილა, რაც წესით არის დანიშნული. შლისსელბურგის ციხეში ფლოტის დასჯილ მატროსებისათვის ადგილი ვეღარ უშოვიათ და იქვე ყაზარმაში დაუმწყვდევიათ.

## ღია წერილი „გლეხის შვილს“ მჭ—შვილს.

უმორჩილესად ვსთხოვ ჩემგან მიღებულ ბარათის ავტორს „გლეხის შვილს“—ნუ დაიზარებს, მობრძანდეს ჩემთან ან „თბილ. ფურცლის“ რედაქციაში ორიდან—სამ საათამდის ან ჩემ სადგურში ჟუკოვსკის ქუჩაზედ № 12; 5—7 საათამდის, პრაქტიკულ გადასაწყვეტად იმ კითხვისა, რომელსაც ის თავის ბარათში ეხება.

**ლევან ყიფიანი.**

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! გაზეთი „საუგორის“ მე-4 ნომერში ბ-ნი ბიკენტი (იგივე ჭოდა) ლობთათიძე აცხადებს, რომ „სიხარულით“ დებულობს ჩემ წინადადებას სამედიატორო სამართალში გამოსვლის შესახებ. ამასთან ის თავის ჩვეულებისამებრ სიხარულითვე უხვათ გაჯილდოებს ხელის ხელ საგოგმანებელი მარგალიტებით და მიდებს ისეთ მძიმე პირობებს, რომელთა მეოხებით, უთუოდ, სურს უარი მათქმევინოს ასეთ საარაკო და ცალ მხრივ სამართალზე. მე არ დავიხევ უკან ასეთ უსამართლოთ მოწყობილ სამართლის წინაშე და ვეთანხმები ბ-ნ ჭოდას ყველა მისს ცალმხრივ პირობებზე. ამასთან ვაქცევ საზოგადოების ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ბ-ნი ჭოდა, როგორც ამას აამჟღავნებს მისი წერილის ბოლო, ჯერ-ჯერობით სრულიად უოფილა აღჭურვილი ჩემ საწინააღმდეგო საბუთებით: ის მუხლმოდრეკით ეხვეწება ყველა ამხანაგებს, რომ უშველონ რამე ასეთ გასაჭირში და მოაწოდონ ჩემი საწინააღმდეგო საბუთი „რაგინდ უბრალო იყოს ის“. აქედან, როგორც სჩანს, ბ-ნი ჭოდა დღემდის უსაბუთოდ და უძალ-ღონოთ ბაქიბუქობდა. აწი ვნახოთ... **ვასილ ხუნდაძე.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 თებერვალი

**პეტერბურგი.** ნიჟეგოროდის ქუჩაზე ღამე, როცა ჟანდარმთა პოლკოვნიკი ლეგატი შინ ბრუნდებოდა, თავის სახლის ეზოში, ვიღაც უცნობმა, სახით ფინლანდიელმა, სამჯერ ესროლა. მცირე ხნის ბრძოლის შემდეგ უცნობი გაიქცა და შვიდი ტყვიით გატენილი მაუზერის რევოლვერი პოლკოვნიკის ხელში დასტოვა. ლეგატი და გზად მიმავალი ყაზახის აფიცერი გამოედევნენ, რამოდენჯერმეც ესროლეს, მაგრამ უცნობი უვნებლად მიიმალა.

**დვინსკი.** სატუსაღოს წინ ახალგაზდობა შეიკრიბა, რომ ადმინისტრატიულ წესით გადასასახლებელ პატიმართ გამოსთხოვებოდა. მოყარაულე ჯარის კაცებმა ტუსაღთ წინადადება მისცეს, ფანჯარას ძოშორებოდნენ. როცა უარი მიიღეს, ესროლეს; ერთი ტუსაღი მოჰკლეს, მეორე დასჭრეს.

**ეკატერინოდარი.** საველე სასამართლოს განაჩენით ძარცვა-გლეჯისთვის ორი ჩერქეზი და ერთი გლეხი ჩამოახრჩეს.

**ტოკიო.** ასიოს სპილენძის მადნებში მუშებმა ელექტრონის მავთულები დაწყვიტეს, სადარაჯო ბუტკები დინამეტით ააფეთქეს და უფროს მოხელეების სახლები დააქციეს. პოლიციამ მუშები გაფანტა. არეულობა, რომელშიაც 4000 მუშა იღებდა მონაწილეობას, სოციალისტებმა მოაგვარეს.

**ირკუტსკი.** ჩერიხოვსკში მარკევიჩის მადნებში ვიღაც უცნობმა მოიპარა 54 გირვანქა დინამიტი და პატრუქი.

**ჩიტა.** სამხედრო ოლქის სასამართლოს განაჩენით ჩამოახრჩეს ექვსი კაცი. ორი პოლიტიკური პატიმარი იყო. სამს სისხლის სამართლით ედებოდა ბრალი.

**კელცი.** პოლიცკის გზა-ტკეცილზე 4 შეიარაღებულმა კაცმა 30 მგზავრი აძარცვა. წაიღეს 215 მანეთი ფულად და 500 მანეთის ვექსილები. ორი მგზავრი დასჭრეს. ორი მძარცავი მეორე დღეს დაიჭირეს.

**ყაზანი.** უნივერსიტეტის გაღების მომხრე 729 სტუდენტი იყო, დაკეტვისა—1115. უნივერსიტეტის დახურვის უფრო თავ-გამოდებულ მომხრეებად კავკასიელი სოც.-დემოკრატები გამოვიდნენ, რომელნიც სცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ საერთო კრების რეზოლიუცია სავალდებულო არ არისო. საბეითლო ინსტიტუტის სტუდენტების საერთო კრებამ „სტაროსტების“ საბჭო გააუქმა და იმის მაგივრად ცენტრალური ორგანო აირჩია დამყარებულ პროპორციონალურ და საერთო ხმის საფუძველზე. ინსტიტუტის დახურვა უაზროდ იცნეს.

**ლონდონი.** სუფრაჟისტკებმა კრებაზე დაადგინეს: განაგრძონ დემონსტრაცია. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ქალები მზად არიან თავიანთ საქმეს სიცოცხლე შესწირონ და სრულებით არ შეშინდებიან, თუნდ ჯარი გამოიწვიონ და თოფის სროლა აუტეხონ.

**პეტერბურგი.** პოლიციას ცნობა მოუვიდა, რომ უნივერსიტეტის აუდიტორიაში სოც.-რევ. კონფერეცია განზრახულიო იმის თაობაზე, თუ რა ტაქტიკას დაადგნენ სახ. სათათბიროში და იმის გარედ. ნაშუადღევის პირველ საათზე უნივერსიტეტის შენობაში პოლიციელების რაზმი შევიდა. 11 აუდიტორიაში დააპატიმრეს 66 კაცი, მათ შორის რამდენიმე სტუდენტი. შემდეგ ისინი საპატიმროებში დაგზავნეს. გარდა ამისა უნივერსიტეტის დერეფნებში 200 კაცამდე დაიჭირეს. ვინც სტუდენტი აღმოჩნდა გაანთავისუფლეს, დანარჩენი 58 კაცი პოლიციაში წაიყვანეს მათის ვინაობის გასაგებად.

**ელისავეტოგრადი.** საპოლიციო სამართველოს გვერდით ეზოში ბავშვებმა ბოხჩა იპოვნეს, რომელშიაც ოთხი ყუმბარა აღმოჩნდა. კინაღამ უბედურება დატრიალდა, რადგან ბავშვებმა ყუმბარებს სინჯვა დაუწყეს. ბედზე ერთმა ბიჭმა ყურადღება მიაქცია ზედ-წარწერას—„ხელით სასროლი გრანატა“-ს. სახლის პატრონი დაიჭირეს. ზომებია მიღებული ყუმბარების პატრონის აღმოჩენად.

**მოსკოვი.** სატეხნოლოგო ინსტიტუტში ნაპოვნი ადრესების და დოკუმენტების შემწეობით ბევრი კაცი დააპატიმრეს. დაჭერის დროს ბევრს იარაღი და არა ლეგალური ლიტერატურა აღმოაჩნდა. სატეხნოლოგო ინსტიტუტში იპოვნეს 7 რევოლვერი, და რამდენიმე ფუთი არა ლეგალური ლიტერატურა და დოკუმენტები. ჩხრეკის მიზეზად ვიღაც სვეტლოვის მიერ დანიშნული ლექცია შეიქნა მუშათა საკითხსა და სოც.-რევოლიუციონერებზე; ნამდვილად კი სოც.-რევ. პარტიული კონფერენცია ყოფილა დანიშნული, რომელსაც გარდა სტუდენტებისა აურებელი გარეშე ხალხიც დაესწრო. სვეტლოვის მაგივრად ვიღაც არა სტუდენტი გავრონსკი აღმოჩნდა, რომელსაც პოლიცია დაეძებდა.

**რიგა.** დასრულდა განხილვა ტუკკუმის აჯანყების საქმისა. განხილვა დაიწყო 10 დეკემბერს. სასამართლომ 17 კაცს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, ერთს 8 წლით დაპატიმრება, 45 კატორგა 2—15 წლამდე და 12 კაცი გაამართლა.

**პეტერბურგი.** 3 თებერვალს ღამე პოლიციამ უნივერსიტეტის სასადილო ოთახში სარევოლიუციო ლიტერატურა და მემარცხენე პარტიათა ბლოკის სია ჩართული მოწოდება აღმოაჩინა. სულ 125 ლიტერატურა იპოვნეს, აგრეთვე სამი ბეჭედი ებრაელთა სოც.-დემ. მუშათა, სტუდენტების შრომის ჯგუფისა და სოც.-დემ. პარტიებისა.

რედაქტორ-გამომცემელი
**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი

გამოვიდა და დარიგდა გასაყიდად
**ახალი ქართული წიგნი**
## მარქსიზმის შესახებ
ნ. მაქსიმოვისა, თარგმანი რ. ჯ—დრისა.
**ფასი 10 კაპ.**

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ
## არითმეტიკული
**კრებული ნაწ. II-ე**
ე. ხრამელაშვილისა. ფასი ორი აბაზი—ნაღდათ მყიდველებს 20% დაითმობა აქვე I ნაწილი კრებულისა, ყდით 30 კაპ.
მისამართი, ტფილისი წიგნის მაღაზია „ცოდნა“.
(10—522—2) **სოსიკო მერკვილაძესთან.**

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დილით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიულ ი (სიფილისი) და საშარდე.
**გ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ფ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.
**მ. გ. აველიჩიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**გ. ი. გმელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.
**ა. ი. უშერბინინა:** $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**

**გ. ი. გმელიშვილი** $6^1/_2$—$7^1/_2$.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**
(150—ხალ.—20)

ქუთაისში
თესლეულობის
## კანტორა
**კიწმარიშვილისა და ამხ.-სა,** ბალახვანის ქუჩა, გუგუშვილის სახლში, სადაც შეიძლება შეძენა: იონჯის, კონდრისა, სამყურის, პურ ს, ეკლის ხის, ბჟოლის, ლახანის და ყოველ გვარი ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობისა. პრეის-კურანტები მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ. (12—5)

**გამოვიდა და იყიდება**
ახალი წიგნი
**Baton-ისა**
„სახელმწიფო მალის ხელში ჩავდება და სოციალური რევოლიუცია“
მალე გამოვა იმავე ავტორის
„მუშათა მოძრაობა საფრანგეთში დიდ რევოლიუციამდე (1789 წ.)“

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებული
## საბუხჰალტერო კურსები
**ნ. ვ. აბრამიანისა,**
ავტორის „Руководство торг. фабр. и нефтепр. бухгалтеріи“-ს. რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამეცნიერო განყოფ., როგორც დამხმარე სახელმძღვანელო საკომერ. სასწავლებლისა და მათ ბიბლიოთეკებში.
**ასწავლიან და ამზადებენ ქალებს და კაცებს** 4 თვეში ბუხჰალტერიის პრაქტიკის შემწეობით.
კურსებზე მიღებულ საგნებს გარდა წლევანდელ სამოსწავლო წლიდან უფასოდ ასწავლიან **პოლიტიკურ ეკონომიას**—როგორც ახალ საგანს კურსებისთვის, და **სტენოგრაფიას** (განსაკუთრებულ ფასით მსურველთათვის).
სწავლის დაწყება 1907 წლის 15 იანვრიდან დროგამოშვებით ყოველ 4 თვის შემდეგ. სწავლა ყოველ დღე ნასადილევს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე: საღამოთი 5—7 ს., დილით 9—10 ს. სწავლის გათავების შემდეგ ეძლევათ დაწესებული ატესტატი, დამტკიცებული ფინ. მინისტრის მიერ.
ამას გარდა, კურსებთან იმათვის, ვინც ნაკლებ არის მომზადებული, დაარსდა განსაკუთრებული კურსები რუსული ენა და არითმეტიკისა,
წესები და პროგრამები მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.
მსურველთ ვთხოვთ მიმართონ წერილობით ან პირადად კურსების დამაარსებელს ტფილისში: **ნიკოლოზის ქ.,** 22 **ტელეფონი** 744.
ზემოდ დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიაში. ვინც ავტორისაგან გამოიწერს—ფასს-დასადებ გადასახადს არ გაიღებს. ფასი 3 მან. 50 კაპ. 12—ხალ.—11)

## კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრეიხერისა
**გადვიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნურ კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სალოსტაქრო აპერაციებსაც აკეთებენ. (100—63)

## Открыта подписка на 1907 годъ на газету
# ЗАКАВКАЗЬЕ
ПОДПИСНАЯ ЦѢНА: на годъ 8 руб., на 6 мѣс.—5 руб., помѣсячно—1 руб.
Плата за объявленія: впереди текста за строку петита 15 коп. послѣ текста 8 коп.
Тифлисъ, Головинскій пр., д. Пондоева. рядомъ съ городской аптекой.
Редакторъ-издатель **П. А. ГОТУА**



# ფეხსაცმელი
## ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მსწრაფლ-მავლები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების **საუკეთესო** მაღაზიებში.
ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ
საფაბრიკო ნიშანს

## ნარდად გაყიდვა
სავაჭრო სახლის „ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის
**საქონლისა სწარმოებს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 40 იქცეა მრავლად**
## ტყავეულობა
რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. (96—6.—49)


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.